საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-02/220

09 სექტემბერი, 2022 წელი ქ. ბათუმი

,,2022-2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ბსუ-ში შიდა მობილობის ვადების განსაზღვრის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 3 აგვისტოს №01-02/191 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის 22-ემუხლის პირველი პუნქტის, ,,უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ'' საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანების (ამავე ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 26 მარტის №07/ნ ბრძანების), ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის'' მე-10 მუხლის, ,,კრედიტების აღიარებისა და საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში ბსუ-ს სტუდენტთა შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის №55 დადგენილების, ,,2022-2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამებზე მობილობის/შიდა მობილობის კონტიგენტის განსაზღვრის შესახებ'' ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 29 ივლისის №06-01/56 დადგენილების, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი-ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში მობილობის (შიდა მობილობის) ადმინისტრირების წესის დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 3 თებერვლის №01-02/16 ბრძანების, სასწავლო პროცესის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის 2022 წლის 9 სექტემბრის MES 4 22 0001034322 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ,,2022-2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ბსუ-ში შიდა მობილობის ვადების განსაზღვრის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 3 აგვისტოს №01-02/191 ბრძანებაში შევიდეს ცვლილება, კერძოდ, ბრძანების პირველი პუნქტის ,,გ'' და ,,დ'' ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

   ,,გ) კრედიტების აღიარების დასკვნაზე (თავსებადობის დასკვნაზე) მობილობის <u>მსურველთა თანხმობის განცხადებების,</u> ასევე ელექტრონულად წარმოდგენილი დოკუმენტაციის მატერიალური სახით (კანონმდებლობით დამოწმებული ასლების) მიღება და ხელშეკრულებების გაფორმება - **2022 წლის 9 სექტემბერი** (17:00 სთ- მდე);
   დ) ბსუ-ში შიდა მობილობის შედეგების შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანების გამოცემა - **2022 წლის 9 სექტემბერი.''**
2. დაევალოს ბსუ-ს სასწავლო პროცესის დეპარტამენტს 2022-2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ბსუ-ში შიდა მობილობის ვადების განსაზღვრის შესახებ ბსუ-ს ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის წინამდებარე ბრძანებით

განხორციელებული ცვლილების გათვალისწინებით რედაქტირებული ვერსიის მომზადება და ბსუ-ს ვებგვერდის ადმინისტრირების წესის შესაბამისად წარდგენა.

3. ბრძანება საჯარო გამოცხადებისათვის განთავსდეს ბსუ-ს პორტალზე და ბსუ-ს ვებგვერდზე.
4. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს (ა.ბერიძე), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბსუ-ს ფაკულტეტებს (დეკანს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, დარგობრივი დეპარტამენტების ხელმძღვანელებს, დეკანის ოფისს), სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარიას), სამეცნიერო კვლევების სამსახურს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
5. ბრძანება ძალაში შევიდეს საჯაროდ გამოქვეყნებისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30), მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში, კანონით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

რექტორი, პროფესორი **მ. ხალვაში**